ხაშურის მოამბე

№16 (47) 25 აპრილი, ორშაბათი, 2016 წელი

ვნების კვირა დაიწყო

დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იხსენებს. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ასევე ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებიკენ, განსაკუთრებით კი - მოწყალებისკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის; როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25,40).

დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა.

ოთხშაბათის ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე,რითაც როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა,იგი დასაფლველად მოამზადა.



აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკრიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარეობას და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდი ხუთშაბათი

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას ვიხსენებთ. აღესრულება ბასილი დიდის წირვა, რომელიც სერობას იმის სამახსოვროდ უერთდება, რომ უფალმა ზიარების საიდუმლო სწორედ ამ დღეს, სერობის ჟამს, დაადგინა. სერობაზე „რომელთა ქერუბიმთას“ ნაცვლად იგალობება: „სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემიწყნარე“... სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფერხთბანის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანა ფეხები სერობის დაწყებამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბანს ფეხებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს.

დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრების კურთხევისას გამოიყენება).

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. „თორმეტი სახარება“ ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფლვით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით. „თორმეტი სახარების“ კითხვისას მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში დგანან, რაც, ერთი მხრივ, ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს. ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაც იკითხება.

მერვე სახარების შემდეგ იკითხება კანონი და იგალობება საგალობელი, რომელშიც ასახულია ის ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტემ მის გვერდით ჯვარცმულ ავაზაკს შეუნდო, რადგან ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ შეინანა. ეს საგალობელი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სრულდება.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმასთან მიდიან,დიდი მეტანიის გაკეთებით ეამბორებიან და ტაძარს ტოვებენ. არსებობს ძველი ტრადიცია,რომლის თანახმადაც სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიღოთ სახლში და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალისგან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ. ამისთვის,რა თქმა უნდა,რაიმე ლამპარი უნდა მოვამზადოთ,რათა სანთლის შინ ჩაუქრობლად მიტანა შევძლოთ.

დიდი პარასკევი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვარიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღესრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფეო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუადღიასას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი - „საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილზე, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული, დააბრძანებენ გარდამოხსნას.

საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, „მამაო ჩვენოს“ გალობის შემდეგ კი ტროპარის „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი...“ გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევლიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ და „საფლავში“ დაასვენებენ. ამის შემდეგ სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება - მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

სერობის შემდეგ, საღამოს, შესაძლოა მწუხრიც, ე.წ. „ღვთისმშობლის გოდებაც“ აღევლინოს.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხ-

ვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი პურსა და წყალზეა.

ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი ქრისტიანული ტრადიციით ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა,წითლად შეღებვა კი იმისა,რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს,რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს,ნებისმიერ სხვა ფრად შეღებილ კვერცხს ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.

დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკცდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელმსახურები „წმინდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და რომ თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი. ამ დროს იგალობება „მშვენიერმან იოსებ...“

იმ დროს, როცა გარდამოხსნას ისევ ტაძრის შუაგულში დაასვენებენ,

(დასასრული II გვერდზე)

ვნების კვირა დაიწყო

(დასასრული)

ითქმება ეკტენია და იკითხება საწინასწარმეტყველო ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომის შესახებ; სამოციქულო, რომელიც გვასწავლის, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი აღდგომაა ყოველი ჩვენგანის სულისთვის; სახარება, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დააყენეს მცველები პილატეს თანხმობით მაცხოვრის საფლავთან, შესასვლელი ლოდით ჩარაზეს და ზედ ბეჭედი დაასვეს.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება მართლმადიდებლური ლიტურგიული ტრადიციის მწვერვალია. ეს არაა იესო ქრისტეს სიკვდილისა და დასაფლავების ისტორიული მოვლენების დრამატული გათამაშება ან სახარებისეული რიტუალური დადგმა. ეს ღვთისმსახურება ღრმა სულიერი წვდომაა მაცხოვრის იმ ქმედების მარადიულ არსში, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია, ანუ წირვა, ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურობს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

მცირე შესავლისა და „ნათელი მხიარულის“ გალობის შემდეგ, იკითხება 15 საწინასწარმეტყველო საკითხავი ძველი აღთქმიდან. ყოველ მათგანში ნაწინასწარმეტყველევია ღვთის მიერ სამყაროს ხსნა, რაც აღთქმული მესიის მოსვლით აღსრულდა.

სამყაროს შექმნისა (შესაქმეთა წიგნიდან) და ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის შესახებ (გამოსვლათა წიგნიდან) საკითხავებთან ერთად, იკითხება ნაწყვეტი ესაია, ეზეკიელ, იერემია, დანიელ და სოფონია წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მესიის ვნების, აღდგომისა და ამ გზით კაცობრიობის ხსნის შესახებ.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება. ასევე იცვლება მთელ ტაძარში შავი ფერები ნათელით. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე დედებმა ადრიანი დილით, ჯერ კიდევ სიბნელეში, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკვანი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნის წინ, და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. ამის შემდეგ წირვა ჩვეულებრივ გრძელდება, ოღონდ „ღირს არსის“ ნაცვლად იგალობება „ნუ მტირ მე, დედაო...“.

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თორმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაჰყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულისა, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“.

ხვალ, 26 აპრილს, წმინდა დიმიტრი - სამშობლოსთვის წამებულის ხსენების დღეა

XIX საუკუნეში, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა შორის, დიმიტრი ყიფიანს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ადგილი უკავია. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი ერისადმი თავდადებული სამსახურის შესანიშნავი მაგალითია. ამიტომაც მისი სახელი წარუშლელია ქართველი ერის მეხსიერებაში. დიმიტრი ყიფიანის საგმირო და მოწამებრივი სიკვდილი ყოველთვის დადებით გავლენას ახდენდა და ახდენს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების განვითარებაზე.

დიმიტრი ყიფიანი ღვიძლი შვილი იყო ჩვენი ხალხისათვის, ბევრის მასწავლებელი იმ ეპოქის, როცა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. ამ ეპოქის ტრაგიკულ ამბებში დიმიტრი ყიფიანს ერთ-ერთი უპირველესი როლის შესრულება მოუხდა. მის სახელს ქართველი ხალხის გულში მტკიცე ადგილი უჭირავს, ხოლო მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის იქნება ყურადღების ცენტრში იმ ადამიანებისათვის, ვისაც თავისი წარმომშობი ხალხი და ქვეყანა, თავისი ერის ენა და ისტორია, თავისი ეროვნული კულტურა რამედ უღირს.

დიმიტრი ყიფიანს უაღრესად საინტერესო, საზოგადოებრივი მნიშვნელობით, ფაქტებით მდიდარი და ამასთანავე, უმძიმესი ტრაგიკული ცხოვრება ხვდა წილად. მისი ბიოგრაფიის ფურცლები მჭიდროდაა გადაჯაჭვული XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან მოვლენასა თუ პროცესთან. იშვიათია საქართველოში ეროვნული მიზანდასახულობის მნიშვნელოვანი სასიკეთო წამოწყება, რომლის ინიციატორი, ხელმძღვანელი თუ აქტიური მონაწილე დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო: კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, პროფესიული ქართული თეატრის შექმნა, საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება, ეროვნული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება, თბილისის სათავადაზნაურო, საადგილმამულო ბანკის დაფუძნება, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელობა და მრავალი სხვა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს დიმიტრი ყიფიანი იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლი (მარშალი), თბილისის პირველი (XIX საუკუნეში) ერთადერთი ქართველი ქალაქის თავი.

დიმიტრი ყიფიანს ღვთისგან ნაბოძები პირადი დიდი ღირსებანი გააჩნდა – იგი შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩეოდა. ხანში შესულსაც შერჩენოდა მომხიბვლელობა. მაღალი შუბლი, ფართო, ცნობისმოყვარე თვალები, ღაჟღაჟა სახე და სქელი ჭაღარა წვერი მის გარეგნობას უაღრესად შთამაგონებელ იერს ანიჭებდა. დიმიტრი მეტყველებდა საკმაოდ ორიგინალურად, ბოხი ხმით, მის ლაპარაკში ყოველთვის გამოსჭვიოდა ძლიერი გონება და საღი ლოგიკა. დიმიტრი შემკული იყო პირადი, შესაშური თვისებებით, რაც მას საზოგადოებაში დიდ ავტორიტეტს უქმნიდა. ნ. ნიკოლაძის თქმით, ამიერკავკასიის მცხოვრებთა თითქმის ყველა ფენა ყიფიანის პიროვნებასა და სახელს სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა, მის გონებასა და პატიოსნებას ყველა ენდობოდა. ჭაბუკი დიმიტრი ყიფიანი ქმედითად მონაწილეობდა 1820-იანი წლების დასასრულსა და 30-იანის დასაწყისის იმ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში, რომელსაც შეთქმულთა წრე წარმართავდა და რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართული კულტურის გამოცოცხლებასა და აღორძინებას, ხოლო მეორე მხრივ აჯანყებისათვის იდეოლოგიური ბაზის შემზადებას.

დიმიტრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1832 წლის შეთქმულებაში. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ იგი დაახლოებული ყოფილა შეთქმულების ორგანიზატორთა ჯგუფთან. შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დიმიტრი ყიფიანი ვოლოგდაში გადაასახლეს და გუბერნატორის კანცელარიაში გაამწესეს. 1837 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა. ამ წლიდან იწყება მისი იერარქიული აღმასვლა სახელმწიფო სამსახურში. აღსანიშნავია, რომ არცერთ ქართველს არ მიუღწევია კავკასიაში ისეთი დიდი თანამდებობებისთვის, რასაც ყიფიანმა მიაღწია.

1881 წელს, რუსეთში, ალექსანდრე II-ს მკვლელობის შემდეგ, განაპირა მხარეების კოლონიზაცია დაიწყო. საქართველოში მეფისნაცვლობა გაუქმდა და მთავარმართებლობა იქნა შემოღებული. მთავარმართებლად დაინიშნა დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელმაც გარშემო ქართველთმოძულე პიროვნებები შემოიკრიბა: რუსი ეგზარქოსი პავლე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და სხვები. სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის დევნა-შევიწროების ტენდენცია გამოიკვეთა. აიკრძალა სიტყვა „საქართველოს“ ხმარებაც კი, რის წინააღმდეგ ყიფიანმა მკაცრად გაილაშქრა. მიუხედავად ამისა, რუსი ბიუროკრატები თანდათან აძლიერებდნენ ქართულ ეროვნულ დაწესებულებათა დევნასა და შევიწროებას. ამ მხრივ, თავი გამოიჩინა სასულიერო სემინარიის რექტორმა პავლე ჩუდეცკიმ, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით. მან გაუთავებელი დაკითხვებისა და შემოწმებების შემდეგ სემინარიიდან გარიცხა სტუდენტი სოსო ლაღიაშვილი. 1886 წლის 24 მაისს სოსო ლაღიაშვილი შეუვარდა კაბინეტში და ხანჯლით მოკლა. ჩუდეცკის დასაფლავებაზე ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა დასწყევლა არა მარტო ლაღიაშვილი, არამედ მთელი ქართველი ერი. ამ ფაქტმა უზარმაზარი რისხვა და პროტესტი გამოიწვია ქართველობაში. როდესაც ეს ამბავი შეიტყო, ეგზარქოსს ხაშურიდან დეპეშა გაუგზავნა, სადაც მოკრძალებით, მაგრამ შეუვალი პირდაპირობით წერდა „თუ ეს ყველაფერი მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“. უნდა ითქვას, რომ ყიფიანმა ეგზარქოსს საქართველოს დატოვება მოსთხოვა. კორსაკოვი განრისხდა, დაუყოვნებლივ გაგზავნა წერილი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა დიმიტრი ყიფიანი საქართველოდან გადაესახლებინა, როგორც რუსეთისათვის უაღრესად საშიში პიროვნება. 1886 წლის ზაფხულში გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც რამდენიმე წლით ადრე ანალოგიურ სასჯელს იხდიდა ნიკო ნიკოლაძე.

გადასახლების წინ დიმიტრი ყიფიანი აკაკის უნახავს ქვიშხეთში. აკაკი იხსენებს: „მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. „ერთი იმ თავითო და ერთი ამ თავითო! პატიმრობით დავიწყე და პატიმრობითვე ვამთავრებო!“ – მითხრა სიცილით. დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა „ნუ გშურს, ჩემთვის, ეს ღვთის წყალობაა! უკეთესს ჩემთვის მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!“..

გადასახლებაში ყოფნა დიმიტრი ყიფიანს დიდხანს არ მოუწია. 1887 წლის 24 ოქტომბერს იგი ვერაგულად მოკლეს. ღამით მის ოჯახში ჯალათი შეიპარა, თავში ურო ჩაარტყა და ქურდულად მოკლა. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... გულზე, რომელიც სამშობლოსთვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“– წერდა აკაკი წერეთელი.

1887 წლის 30 ოქტომბერს წმინდა ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების გამო წერდა: დიმიტრი ყიფიანი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა მისი გული ამბობდა „არას“, ძნელია უკეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისა.

ყიფიანის დაკრძალვაზე წმინდა ილია მართალმა და აკაკიმ ხალხმრავალი თავყრილობა მოაწყვეს, რომელიც შემდეგ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მძლავრ დემონტრაციაში გადაიზარდა. 8 ნოემბერს თბილისში მთაწმინდისკენ უკანასკნელ გზაზე დიმიტრი ყიფიანს მთელი საქართველო მიაცილებდა. სამგლოვიარო მსვლელობამ გოლოვინის პროსპექტი გადაკვეთა და გეზი მამადავითისკენ აიღო. მსვლელობას თვალყურს ადევნებდა პოლიციის საკმაოდ დიდი რაზმი, სასახლესთან მიახლოება პროცესიას აკრძალული ჰქონდა. მსვლელობას წინ ჟანდარმერიის კორდონი გადაუდგა. ხალხის გულისწყრომის აფეთქებას წამიღა აკლდა.

მთაწმინდაზე სამგლოვიარო მიტინგზე აკაკი წერეთელი დიმიტრი ყიფიანს ასეთი სიტყვებით გამოემშვიდობა: „მშვიდობიოთ, ხორციელად ჩვენგან დაკარგულო, მაგრამ სულიერად კი საშვილიშვილოდ მოკავშირევ, ჩვენო დიდებულო მოძღვარო!“ მოგვიანებით, მის ნეტარ ხსოვნას აკაკიმ თავისი უკვდავი „განთიადი“ უძღვნა.

2007 წლის 26 აპრილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე წმინდანთა დასში შეირაცხა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური დიმიტრი ყიფიანი და ეწოდა წმინდა დიმიტრი ყიფიანი სამშობლოსათვის წამებული. წმინდა სინოდის განჩინებით, მისი ხსენების დღედ მისივე დაბადების დღე 14/26 აპრილი დადგინდა.

რევაზ ნოზაძე,
ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის მენეჯერი

ლაშა მესხი: შევეცდებით, ჩვენი არსებობა იგრძნობოდეს ქალაქში!

ერთხმად ვთანხმდებით იმაზე, რომ განათლებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, ქვეყნისთვის მეტი სარგებლის მომტანია. აზროვნების ფორმირება, თვითშეგნების ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება. ხშირად იმასაც განვიცდით, რომ ყველა საშუალება, შესაძლებლობა დიდ ქალაქებშია თავმოყრილი და პატარა ქალაქებისთვის ერთგვარ ფუფუნებადაა ქცეული. ამ მიზეზის

გამო, საკრებულოს წევრმა ლაშა მესხმა, "ხაშურის დემოკრატიის სკოლა" ჩამოაყალიბა, მოაზროვნე ბავშვები შეკრიბა და თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგა. ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა, კონტროლი, მოქალაქეთა როლი ქვეყნის მართვაში, სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებია ძირითადი თემები, რომელზეც საუბარი, ანალიზი

უწევთ სკოლის მსმენელებს. ყოველი კურსის დასრულების შემდეგ, პარლამენტს სტუმრობენ, სადაც ხვდებიან პარლამენტის წევრებს, აქვთ გასვლითი ექსკურსიები, რაც საკუთარი ქვეყნის უკეთესად გაცნობას გულისხმობს. გარდა ამისა, უკვე კურსდამთავრებულები, სხვა მოსწავლეებს აძლევენ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მათ 8 კვირიანი მუშაობის პროცესში მიიღეს.

ლაშა მესხი:–როდესაც ხედავ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობისთვის, ქალაქში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ძირითადი მარშრუტია სკოლა-სახლი, საჭიროდ ჩავთვალეთ მათთვის დროის ხარჯვის სხვა ალტერნატიული საშუალება შეგვეთავაზებინა, რომელიც მათი დროის ეფექტურ გამოყენებას და, ამავდროულად, ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფდა. პირობითად დავარქვით "ხაშურის დემოკრატიის სკოლა". კურსი შედგება 8 ლექციისგან. ყოველი ლექციის თემა წინასწარ განისაზღვრება. ძირითადი თემები მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობას, ბიუჯეტის შედგენას, მოქალაქეებს რა საშუალებები აქვთ იმისათვის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ადგილზეც აკონტროლონ და ზედამხედველობა გაუწიონ, ასევე, ვსაუბრობთ პოლიტიკურ სიტუაციაზე, იდეოლოგიაზე, ქვეყნის მოწყობის სისტემებზე, ევროპულ არჩევანზე, მის სიკეთეებსა თუ ნაკლოვანებებზე, ვსაუბრობთ როგორ შეგვიძლია აქტივობების დაგეგმვა და საიდან, ვისი დახმარებით შეგვიძლია დაფინანსების მოპოვება. თავიდანვე გვერდზეე გვიდგას ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, სადაც ხდება შეხვედრები კვირაში ერთხელ. ძირითადად ხაშურის სხვადასხვა სკოლის 10-11 კლასელებისგანაა კურსი დაკომპლექტებული.

- არსებობს მოსწავლეთა შერჩევის კრიტერიუმი ან რაიმე ფორმა?

–პირველი ნაკადის შერჩევა წმინდა ქართული ფორმით მოხდა, ნაცნობობით. ვიცნობდი სკოლის დირექტორებს და ამ სკოლებიდან მოხდა დაკომპლექტება. ძირითადად, ერთ ნაკადში 16 მსმენელია, როდესაც მეტი მსურველია, ტესტირების, ან გასაუბრების საფუძველზე ვარჩევ ბავშვებს და ჩამოგვყავს 16-მდე.

- კურსის დასრულების შემდეგ, ბავშვები წყეტენ მუშაობას?

–კურსის დასრულების შემდეგ ბავშვები თავისი სურვილის მიხედვით ქმნიან ჯგუფებს, თითოეული ჯგუფი ირჩევს ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალ სკოლას, აკეთებენ ნახევარსაათიან პრეზენტაციას და თავიანთ თაანატოლებს უტარებენ ლექციას. ორგანიზებას თვითონ უკეთებენ, ჩვენი ერთადერთი მოვალეობა, ამ შემთხვევაში, მათი უზრუნველყოფაა პროექტორით, კომპიუტერით და ტრანსპორტირებით. რადგან დაფინანსება არ გვაქვს, ჩვენი ფინანსებით ვახორციელებთ ამ ყველაფერს. გარდა ამისა, ამ ლექციათა კურსის დასრულების შემდეგ, ჩვენ მივდივართ სტუმრად პარლამენტში. შემდეგ ვხვდებით პარლამენტის სხვადასხვა წევრებს. პირველი ვიზიტის დროს შევხვდით გიგლა აბულაშვილს, სერგო რატიანს, მესამე ნაკადი შეხვდა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბერძენიშვილს. ეს არის პირობითად ერთი კურსის აქტივობა.

- თეორიული კურსი რას მოიცავს?

–გარდა ზემოთ უკვე ჩამოთვლილი თემებისა, რომელთან შეხებაც ბავშვებს უწევთ, თეორიული მუშაობის პროცესში პირობითად იყოფიან გუნდებად. თითოეული ჯგუფი პირობითად არის არასამთავრობო, რომელიც პარალელურად ასევე მუშაობს პროექტზე, რომლის დაფინანსებისკენაც ის ილტვის. თემები და აქტივობები მათი არჩევანით კეთდება.

- თეორიულთან ერთად მსმენელები პრაქტიკული საქმიანობითაც არიან დაკავებულები, რაში გამოიხატება ეს აქტივობები?

–გამგეობამ გაგარინის ქუჩაძე გამოგვიყო ფართი, სადაც ვაპირებთ ჩვენი სკოლის სახელობის სკვერის გაკეთებას, რაც მდგომარეობს არა მხოლოდ დარგვა-დასუფთავებაში, არამედ მის მოვლასა და სიცოცხლისუნარიანობაში. ჩვენი საქმიანობა, თეორიულ კურსთან ერთად, პრაქტიკულ ნაწილსაც მოიცავს, რაც გამოიხატება იმაში, კონკრეტულად ჩვენ როგორ შეგვიძლია, დავეხმაროთ მუნიციპალიტეტს და რითი შეგვიძლია, ვიყოთ სხვისთვის

მისაბაძები. ერთი ნაკადი იწყება ოქტომბრიდან და სრულება დეკემბრის ბოლოს, მეორე ნაკადი მარტიდან მაისის ბოლოსკენ.

დღევანდელი მონაცემებით, ოთხივე ნაკადის ფარგლებში 50 ბავშვამდეა. ჩვენი აქტივობა გამოიხატება სხვადასხვა კულტურული აქციების დაგეგმვაში, ექსკურსიების, გამწვანების და სხვა ღონისძიებების. პარლამენტში ყოფნის დროს წარმოიშვა იდეა ზებრა გადასასვლელების მოხვატასთან დაკავშირებით. შევეცდებით, ჩვენი არსებობა იგრძნობოდეს ქალაქში.

_მხოლოდ საკუთარი ძალებით ახორციელებთ თქვენს საქმიანობას, თუ გაქვთ რაიმე ტიპის ხელსაწყობა?

–მესამე ნაკადიდან ჩვენ სკოლას ეხმარება NIMDI, ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის, რომლის დახმარებაც გამოიხატება მსმენელისთვის საკანცელარიო ნივთების დარიგებით სპეციალური ლოგოთი, რომელსაც აწერია "ხაშურის დემოკრატიის სკოლა". ასევე, ინტენსიურად გვეხმარება იმაში, რომ მოვიწვიოთ ლექტორები. გვყავდა ორი ლექტორი, რომლებმაც ისაუბრეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე და აქტივობების დაგეგმვაზე. მეოთხე ნაკადისთვის ვგეგმავთ კვალიფიციური სტუმრის მოწვევას, რომლის კოორდინებას და ტრანსპორტირებას NIMDI მოახდენს. NIMDI-ს დახმარება გამოიხატება იმაშიც, რომ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერთიფიკატები.

_რა სიკეთეს მოუტანს ეს მსმენელებს?

–პირველი ისაა, რომ ყველა საშუალება, ძირითადად, თბილიშია თავმოყრილი, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაციის მიღების ალტერნატიული საშუალება და წყარო, ჰქონდეთ დრო და საშუალება გაიცნონ თავიანთი თანატოლები უკეთესად, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები–მათ უნდა გამოიმუშაონ ის მინიმალური უნარ-ჩვევები, რომელიც ნებისმიერ უნივერსიტეტისაკენ მიმავალ ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს.

თ. ჯავახიშვილი

‘‘საქართველოს განვითარების ფონდი’’ მოსახლეობასთან დიალოგს მართავს

20 აპრილს ხაშურში „საქართველოს განვითარების ფონდის” შიდა პოლიტიკის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელმა ხათუნა ლაგაზიძემ ინფორმაციული შეხვედრა გამართა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. საუბარი ძირითადად შეეხო ქალების უფლებების დაცვასა და ფონდის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. „საქართველოს განვითარების ფონდი” არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია მოქალაქეები საზოგადოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა თემების განხილვაში ჩართოს და დანერგოს დიალოგის, თანამშრომლობის კულტურა დაძაბულ პოლიტიკურ გარემოში”,– განაცხადა ქალბატონმა ხათუნამ.

ორგანიზაცია, უკვე მაისიდან, დაიწყებს აქტიურად პრეზენტაციების გამართვას და მოსახლეობას საკუთარ სამოქმედო გეგმას გააცნობს. მათი მიზანია, ფართო საზოგადოებას წარუდგინოს წინადადებები შემდეგი მიმართულებით: სახელმწიფო მმართველობა და დემოკრატია, კონსტიტუციური საკითხები, ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა, სოციალური და უსაფრთხოების საკითხები, გარემოს დაცვა, საგარეო პოლიტიკა და ა.შ.

ხათუნა ლაგაზიძემ, „საქართველოს განვითარების ფონდის” ხაშურის ორგანიზაციის თავმჯდომარემ რუსუდან ენჯიბაძემ და ორგანიზაციის სხვა წევრებმა შეხვედრის მონაწილე ქაბატონებს მოუწოდეს მაქსიმალური აქტიურობისაკენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისაკენ. მათი თქმით ქალებს უდიდესი შესაძლებლობები აქვთ და მათი ჩართულობით ბევრს მივაღწევთ.

„საქართველოს განვითარების ფონდის” წარმომადგენლები, იმავე დღეს, ქვიშხეთლებსას შეხვდნენ და ადგილობრივების პრობლემებს გაეცვნენ.

თ. ახალაცი

ორი პროექტი, რომელიც ჩვენს ქალაქს გაალამაზებს

ქალაქის ინფრასტრუქტურისა და მისი იერ-სახის ესთეტიური დონის ამაღლება ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მხრივ, მრავალი რამ გა-

კეთდა გასულ წელს და მიმდინარესაც ბევრია დაგეგმილი. ამის დასტური უახლოეს პერიოდში განხორციელებული ორი პროექტიცაა, რომელთა დასრულების შემდეგ ქალაქი უფრო გამშვენიერდება.

როგორც ჩვენთან საუბარში გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა აღნიშნა, - პირველი პროექტის მიხედვით ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობაა გათვალისწინებული. უფრო კონკრეტულად, პირველ საჯარო სკოლისა და სასპორტო სკოლის საფეხბურთო მოედანს შორის არსებული სივრცეზეა საუბარი. პროექტის მიხედვით აქ დაიგება ქვაფენილი, დაიდგმება მოსასვენებელი სკამები, დამონტაჟდება ახალი განათება, გაკეთდება გამწვანების ზოლი და დაირგვება ხეები. მონაკვეთი მთლიანად ფეხითმოსიარულეებისათვის იქნება გათვალისწინებული და აქ ავტომობილების მოძრაობა აიკრძალება. პროექტის დასრულების შემდეგ, დამსვენებლებს საშუალება ექნებათ უფასო ინტერნეტითაც (WI-FI) ისარგებლონ. მეორე პროექტი ქალაქის ცენტრალრი მოედნის სრულ რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. პროექტის დამუშავებისას სრულიად იქნება გათვალისწინებული მოძრაობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის რეკომენდაციები. მოეწყობა ავტოპარკინგი, ე.წ. უსაფრთხო „კუნძულები" და, რაც მთავარია, მოედანი მისი



რეკონსტრუქციის შემდეგ, არქიტექტურულად სრულ ჰარმონიაში მოვა მიმდინარე დასასვენებელ სკვერთან.

პროექტებს შპს „Modern Architectural Group" ამუშავებს და მისი დასრულების შემდეგ სამშენებლო სამუსაოები დაიწყება, რომელიც მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

„კლდის უზარმაზარი ნაჩეხი" -ვაჟა-ფშაველა

ცოტა ხნის წინ, გამოიცა არაჩვეულებრივი წიგნი „დევების სტუმარი" ვაჟა-ფშაველას შესახებ. 19 აპრილს ჩვენს სკოლას ეწვია ამ ნაწარმოების ავტორი, მწერალი როსტომ ჩხეიძე. სიამაყით მინდა ვთქვა, ძალიან მიხარია, რომ მყავს ისეთი მასწავლებელი, რომლის წყალობითაც მოსწავლეებს არცთუ იშვიათად გვაქვს ფუფუნება იმისა, რომ როსტომ ჩხეიძის მსგავსი ადამიანის

ლექცია მოვისმინოთ და ჩვენი ინტერესებიც მისი საუბრით დავიკმაყოფილოთ. სასიამოვნოა, როდესაც ჩვენი ეპოქის ეს შესანიშნავი შემოქმედი მეგობრად მიგვიჩნევს და არასდროს ამბობს უარს ჩვენს სტუმრობაზე. წინა წლებში განვახორციელეთ პროექტები, რომლებიც შეეხებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა მოღვაწეობას. საგულისხმოა, რომ ბატონი როსტომის მიერ გაზიარებული უცნობი და საინტერესო ფაქტები ყოველთვის იპყრობს ადამიანის ყურადღებას, რადგან ეს შეხვედრები ემსახურება ეროვნული გრძნობის გაღვივებას ახალგაზრდებში. იგი თავისი ჩვეული სიმშვიდით აღწერს ყოველივეს, ასევე, ისმენს კითხვებს და პასუხობს მათ ამომწურავად. ამჯერად მან ვაჟა-ფშაველას შესახებ მოგვითხრო. მისი ეპოქის, ასპარეზზე გამოჩენის, შვილებისა თუ ნაწარმოებების ირგვლივ ბევრი ახალი ინფორმაცია გაგვაცნო მე და ჩემს ტანატოლებს. თხრობისას მან თამარის, ვაჟას შვილის, სიტყვებიც გვითხრა – „სწორედ მაშინ გავაანალიზე, რომ ვაჟა-ფშაველა, არა მარტო მამაჩემი, არამედ მთელი ერის მამა იყო", ეს მაშინ თქვა, როდესაც დიდი პოეტის დაკრძალვაზე ურიცხვმა საზოგადოებამ გზა დაუთმო ვაჟას შვილს.

ბატონმა როსტომმა სიტყვის დასაწყისში თქვა, რომ ღირსეული ადამიანები ხშირად უნდა შევახსენოთ ახალგაზრდა თაობასო. ვფიქრობ, რომ როსტომ ჩხეიძისნაირი ადამიანები ზნეობრივად წვრთნიან სხვებს და მე უზომოდ მადლიერი ვარ ფატი მასწავლებლისა, რადგან მისი დამსახურებით ვეზიარე ამ ღირსეული და დიდი მწერლის ნააზრევს. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან წილად მერგო ამ ადამიანის პირადად ხილვისა და გაცნობისა.

თათია ვეფხვაძე,
ხაშურის I საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

მალე ყვავილები ააფერადებენ ჩვენს ქალაქს

გასულ წელს სტუმრად ა(ა)იპ "სავანეს" დირექტორს, ბატონ შოთა კოპაძეს ვესტუმრე, მისი სამსახურის ფუნქციას ქალაქის იერ-სახის გალამაზება, სკვერების კეთილმოწყობა, უპატრონო ძაღლებზე ზრუნვა, ფანტანებისა და შადრევნების გამართულად ფუნქციონირება და სარიტუალო მომსახურება წარმოადგენს. მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით საუბრობდა ბატონი შოთა, როგორ სთხოვდა მოსახლეობას, ერთად ეზრუნათ და დაეცვათ ქალაქის ესთეტიკური მხარე. დამაინტერესა, ერთი წლის შემდეგ, შეიცვალა თუ არა მდგომარეობა, რა გაკეთდა, რა შევინარჩუნეთ, რისი მოვლა, ან დაზიანება მოვახერხეთ, სად იჩინა ქართულმა ბუნებამ თავი, კარგი თუ ცუდი გენი ამუშავდა. საქმიდან და პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ " სავანეს" 4 განყოფილება გამოეყო, მე გამწვანების განყოფილების უფროსს ვასილ ხაჩიძეს ვესტუმრე, მოგეხსენებათ, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ქვეცნობიერად შემოდის განახლების, ესთეტიკის განსაკუთრებული აღქმა. ბატონ ვასილთან ერთად ყვავილებისათვის განკუთვნილი ადგილები მოვინახულეთ სკვერებში მალე აქ სანერგე მეურნეობიდან ესტუმრებიან 5 სახეობის ყვავილები და ააფერადებენ ჩვენს ქალაქს, სხვა სურნელს შემატებენ. ხეებიც მომავალს გაუვსებენ ფილტვებს ჰაერით და ამ ყველაფერს, ჩვენი ხელის და გულის წაშველება, დახმარება უნდა, ბევრი ხელი ერთად მეტ საქმეს გააკეთებს! მანამდე კი ბატონი ვასილისგან გავიგოთ, რა კეთდება, რისი მოფრთხილება გვევალება:

–ჩვენი სამსახურის შემადგენლობაში დაახლოებით 26 სკვერი და ერთი სანერგე მეურნეობა შედის. არსებული სანერგე მეურნეობა წლების განმავლობაში მიტაცებული იყო მოსახლეობის მიერ, 3 წლის წინ დავიბრუნეთ, შემოვდობეთ და დავიწყეთ საქმიანობა. გავაშენეთ სხვადასხვა ჯიშის ნერგები, რომლებსაც შემდეგ გადავრგავთ ღია გრუნტში. გამოგვყავს ასევე ყვავილების სხვადასხვა სახეობა. დათესილი გვაქვს ყვავილები, ამოსვლის სტადიაშია და გადავიტანთ სკვერებში. დანერგე შენი მომავალის აქციის ფარგლებში, 2000 ცაცხვის, ნეკერჩხლის, მუხის, იფნის ნერგი გამოგვიგზავნა ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, დავურიგეთ სოფლის რწმუნებულებს, მათი სურვილის შესაბამისად. გვაქვს საპნის ხის 100 ნერგი, რომლებიც სკვერებში დაირგვება.

–როდიდან დაიწყეთ საგაზაფხულო საქმიანობა?

–ჩვენ უკვე ზამთრიდან შევუდექით მზადებას, დაიბარა საყვავილე ადგილები. 15-16 წერტილი იქნება სკვერებში, სადაც დაირგვება ყვავილები. ყოფილი კინოთეატრი "რუსთაველის" აღმოსავლეთ მხარეს სკვერებში გადავრგავთ როგორც ჩვენს, ასევე შემოტანილ ნერგებს. ტაბიძის ქუჩის დასაწყისში გვაქვს ორი საყვავილე გამზადებული, აგრეთვე აღმაშენებლის ქუჩაზე, რუთაველის ქუჩაზე და სასეირნო ბაღში.

–რა სახეობის ყვავილებია? მარადმწვანე ხეების დარგვა თუ ხდება?

–ძირითადად ასტრა, კალენდურა, ცინია და მამლის ბიბილო გვქონდა გასულ წელს. წელს გამგეობამ დაგვაფინანსა და შემოგვაქვს ახალი სახეობის

(დასასრული V გვერდზე)

ქართლს შეფარებული მეურნე ათეთიანურიდან

...ერთ პატარა სახლში ცხოვრობს, ოჯახიანად-სოხუმის დაცემის დღეს წამოვიდა და ქართლს შეეფარა. ძია ეფრემს დღესაც, რატომღაც, უცხო კაცს ეძახინ თავისი მეზობლები,23 წელია მოშინაურებას ცდილობს. თავისი მარჯვე და მიწისგან დაღლილი ხელები ყველგან დაამკვიდრებდა, ლუკმა-პურს არ მოაკლებდა ოჯახს, ტკოცაში ცხოვრება არჩია, "მოყვრებთან". მთები მოგლიჯა სიცოცხლეს მოწყურებულმა, ოჯახის პასუხისმგებლობააღებულმა კაცმა, არ დაზარებია, რაც შესთავაზეს, რაც უწილადეს, ის მიეღო, იმისთვის მიეხედა და სიცოცხლე დაებრუნებინა. ამაყად გაყურებს თავის ნაშვილებ მიწას, ოფლადდაღვრილს მრავალი ღამე რომ გაუტარებია, ჭკუაზე რომ მოუყვანია, დაუმორჩილებია და ახლა სიკეთეზე სიკეთით პასუხობს. მიწასთან ომგამოვლილ ხელებს დავხედე, ძია ეფრემს სახეზეც ქართველი კაცის მადლი ეფინა, თან რომ დაგყვება, რომ ვერ შეიძენ, ის მადლი. გული უტკენია ცხოვრებას, საკუთარი მიწა-წყლის, შვილის დაკარგვით, არ გაჩერებულა, ყველა ტკივილი აქვე, მიწასთან გაუზიარებია და მწვანეთვალება გიოსთვის დგას და იბრძვის, დგას და ეჭიდავება მაგარსა და ძარღვიან მიწას. მისთვის არც ქვეყანას და არც ადამიანებს მოუტანია სიკეთე, ასე, საკუთარი მარჯვენის და დაუღალავი ბუნებისამარა დარჩენილა და შვილიშვილებისთვის დაეძებს მზეს დედამიწაზე. ჩვენც ბაღში მოფუსფუსეს ვესტუმრეთ, ამ ნახევრად ყამირ მიწას შეჭიდებოდა, გაუხარდა ჩვენი დანახვა, გული გვაჩვენა, ქართლს მორგებულსვანური. ფეხდაფეხ დაგვატარა, ყვავილშერეული ხილის ბაღები გვაჩვენა, დასათესად გამზადებული ბაღები. შეეყვარებია თავისი ერთი ძირი ხე. სოციალური დახმარება მქონდა, მომიხსნენს, ასე, წყალგამდინარე სახლში ვცხოვრობ, ბავშვები მეცოდება, ჩემ თავს არ დავეძებო-გულისტკივილი იყო ქვეყნისთვის ომგამოვლილი კაცის, სხვა მხარეს შეხიზნულის. სოფლის მეურნეობის ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან ურთიერთობს, მათივე დახმარებით, კოოპერატივის დაარსებას ფიქრობს, შრომის გაერთიანებისთვის, გადანაწილებისთვის. დავსხედით და ვისაუბრეთ, მძიმე წლებზე, საქმიანობაზე. დროდადრო ბაღის დარაჯი "ბაჩუკი" (საფრთხობელა) გადმოგვხედავდა ხოლმე ცხვირამდე ჩამოფხატული ჩაფხუტით, და აფრთხობდა ბაღის გასაძარცვად მოსულ ფრინველებს.

ეფრემ სიდინი (ფერმერი):

–სოხუმიდან ვარ. ჭუბერზე წამოვედი ოჯახით სოხუმის დაცემის დღეს. კარგად მახსოვს წამოსვლის დღე, რადგან დღემდე დიდ განცდას და ტკივილს მახსენებს. 100 ადამიანი მომყავდა ჩემი მანქანით. მეომარი კაცი ვარ, ჩემი ქვეყნის, შვილების გადარჩენისთვის ვიბრძოდი. შვიდი დედმამიშვილიდან, სამნი ვიცავდით გაყიდულ ომში ქვეყანას.

- ტკოცაში როგორ მოხვდით?

–სოხუმიდან წამოსვლის შემდეგ მესტიაში, მშობლიურ კუთხეში დავბრუნდი. ერთი წლის შემდეგ დაგროვილი სურსათ-სანოვაგე წამოვიღე და წამოვედი ხაშურში, რადგან ჩემი ცოლია ტკოციდან. გზაში დამაყაჩაღეს და ასე ხელცარიელი ჩამოვედი ტკოცაში და ოჯახით დავიწყეთ ცხოვრება. ორი თვე ჩემ სიმამრთან ვცხოვრობდი. მერე ეს დანგრეული შენობა ვნახე, რომელსაც არც სახურავი ჰქონდა და არც საცხოვრებლად გამოდგებოდა. ზამთარში წავედი ტყეში შეშის მოსატანად, რომ გადამეხურა. წლების მერე აღმოჩნდა, რომ ტენდერი იყო გამოცხადებული სახლზე, რომელშიც ვცხოვრობდი.

- არ გაგიჩერდათ სვანი კაცს, სოხუმში დაბადებულს, სხვა ტრადიციებთან შეგუება და თავის დამკვიდრება?

–ადვილი არ ყოფილა, დღემდე ლტოლვილის და ჩამოსულის სტატუსი მაქვს სოფელში, თუმცა, ბევრისგან დახმარების ხელიც მახსოვს, მაგრამ მაინც ჩემმა საქმემ და დაუღალავმა შრომამ მომიყვანა აქამდე.

- რა როოდენობის მიწები გაქვთ?

–ერთი 50 მიასედი მომცეს, მეორე 1,25 ჰექტარი, რომელზეც ძველი ხილი იყო. დავამუშავე და სახნავ-სათესად ვაქციე. დღეს 2 ჰა მიწა გვაქვს ოჯახს. მაქვს იონჯა და ესპარსეთი დათესილი, 1 ჰა-ზე სიმინდი და ლობიოს ნათესები. ასევე მეზობლებისგან ნათხოვარი ბაღებიც მაქვს 2 წლით, სადაც ყველა კულტურა მითესია. ხილიც მაქვს, ვაშლი, ალუბალი, ალიბუხარი, შავი ქლიავი, ჭანჭური, ახლა მარწყვი დავრგე.

- თქვენი ოჯახის შემოსავალი მხოლოდ ამ მიწიდან მიღებულიმოგებაა?

–ჩემი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი ამ მიწიდან მიღებული მოსავალია. ამ ბაღის ბოლოს წყაროა, ამოვთხარე რომ დაგროვდეს და მთელი ღამე ვრწყავ ბაღს ამ წყლით, რადგან მორწყვის სხვა საშუალება დღეს აქ არაა.

- ვინ გეხმარებათ? ამდენი მიწის დამუშავება მარტივი არაა...

–მე, ჩემი მეუღლე და რძალი. ბავშვები პატარები არიან, სკოლაში დადიან. კარგი მოსწავლეები არიან. გიორგი (შვილიშვილი) მპირდება, რომ გაიზრდება, დაეხმარება პაპას, უკვე კაცია, დამოიკიდებლად ატარებს პატარა ტრაქტორს. ადვილი არაა სოფლის ცხოვრება, დღე და ღამე არ გძინავს კაცს. ყველაფერს ჩემი ხელი და მონდომება ატყვია.

- მხოლოდ ეს პატარა ტრაქტორი გაქვთ?

–კი, ესეც ცოტა ხნის წინ შევიძინე, ძალიან მეხმარება, მარჯვენა ხელია ჩემი. სხვა ტრაქტორის ყიდვის შესაძლებლობა ამ ეტაპზე არ მაქვს. ძალიან მეხმარება სოფლის მეურნეობის ხაშურის საკონსულტაციო სამსახური. მირეკავენ, მაძლევენ რჩევებს და ინფორმაციას. გადავწყვიტე კოოპერატივის შექმნა, თანამოაზრეებიც მყავს და მალე გავაერთიანებთ ძალებს. 3 ადამიანს, დევნილის სტატუსის მქონეს, შეუძლია კოოპერატივის ჩამოყალიბება და განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობა. ვნახოთ, მცდელობას არ მოვაკლებ, აქამდეც ვშრომობდი და არც ახლა ვაპირებ გაჩერებას.

საუბარს შევყევით, მალე კუბდარებიც შემოგვესწრო და ნამდვილი სვანური სურნელი მოჰფინა ქართლის ამ ლამაზ სოფელს. იქვე ეფრემ პაპას იმედი და მომავალი, მწვანედ მობრიალეთვალება გიორგი დაგვტრიალებდა და ზაფხულში მეზობლის თხილის მოსაპარად გვეპატიჟებოდა.

თ. ჯავახიშვილი

მალე ყვავილები ააფერადებენ ჩვენს ქალაქს

(დასასრული)

ყვავილი. რაც შეეხება მარადმწვანე ხეებს, მხოლოდ ლიტვის ბაღში გვაქს მარადმწვანე ბუჩქები.

–რა გიქმნით ყველაზე დიდ პრობლემას?

–მე ხაშური და მისი ყველა მოსახლე მიყვარს, მინდა იუმორისტული დამოკიდებულება შეიცვალოს ჩვენი ქალაქის მიმართ. მაგრამ გულისტკივილით მინდა არვნიშნო, რომ არ გვაქვს მოვლისა და მოფრთხილების კულტურა.

გასულ წელს ვარდის 1000 ძირი ვარდის საუკეთესო ჯიში გამოვრგეთ, სხვადასხვა ფერის, აქედან ალბათ ერთ თვეში 600 ძირი მოიპარეს. ხლა მხოლოდ 50 ძირია დარჩენილი გამგეობის წინ მდებარე სკვერში. ამ გაზაფხულზე ჩვენი გამოყვანილი ტყის შროშანი გამოვრგეთ, ვრწყავთ, ვუვლით. შეიძლება რამდენიმე დაჭკნეს და არ გაიხაროს, მაგრამ დიდი ნაწილი გაფუჭებულია მოსახლეობის მიერ. წელს პირველი შემთხვევა იყო, რომ სასეირნო ბაღში მასიურად გამოვრგეთ 160 ჯიშის სხვადასხვა ფოთლოვანი ხის ნერგები, ცხენის წაბლი, ცაცხვი, იფანი, საპნის ხე. ამ ყველაფერს მოფრთხილება უნდა. გავიარე და გადატეხილი დამხვდა, ის ნერგი ახლით შევცვალე, მაგრამ მასიურად ამის კეთება შეუძლებელია. აქ მოსახლეობაც უნდა მოგვეხაროს და გაუფრთხილდეს თავიანთი მომავლისთვის გაკეთებულ საქმეს.

–ფინანსები თუ გყოფნით თქვენი საქმიანობის განსახორციელებლად?

– მარტო მემცენარეობის განყოფილებას 170 000 ლარი გვაქვს გამოყოფილი, წელს ბევრად გაზრდილია ჩვენი სამსახურის ბიუჯეტი, რადგან სხვა განყოფილებებიც დაემატა. ამაში შედის სახელფასო ხარჯებიც. მემცენარეობის განყოფილებაში 15-16 ადამიანია დასაქმებული. 26 სკვერს ემსახურება 4 დამგველი, მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ლიანა შამათავას, ნანი კუბლაშვილს, თამარ ულუმბელაშვილს, ასევე ჩემი გამწვანების მუშებს, რომლებიც წამყვანი ძალაა და ამავდროულად დახმარებას უწევენ სარიტუალო სამსახურს. ცოტა ხნის წინ მათი დახმარებით 200 ხის ძირი შევათეორეთ.

–მოსახლეობასთან ერთად არ ატარებთ რაიმე ტიპის აქციებს, რათა მათაც ჰქონდეთ საკუთარის დაცვის და გაფრთხილების სურვილი?

–გასულ წელს გვქონდა აქცია, პროკურატურამ, სკოლის მოსწავლეებმა და ჩვენმა სამსახურმა, ხაშურის შემოსასვლელთან დავრგეთ მარადმწვანე მცენარეები. აქაც მინდა წუხილით აღვნიშნო, რომ ნაწილი ან მოიპარეს, ან შინაურმა პირუტყვმა გაანადგურა. მხოლოდ ერთეულმა ნერგმა გაიხარა.

–სხვა რა სიახლე გაქვთ?

–მოდის ზაფხულის პერიოდი, დაიწყება გვალვების სეზონი. ახალი მანქანა მივიღეთ, გავანაწილებთ გრაფიკს და არამარტო საყვავილე ადგილებს და ნარგავებს მოვრწყავთ, არამედ ქუჩების გადარეცხვასაც შევძლებთ შიდა გზების. ეს ყველაფერი ახალი დირექტორის დამსახურებაა, ჩვენც მხარს ვუჭერთ და ვცდილობთ, შედეგი ვაჩვენოთ ქალაქს. გარდა ამისა, ძალიან გვინდა სანერგე მეურნეობა ავადორძინოთ ისე, რომ დამთვალიერებლის მიღება შევძლოთ და ძველი ფუნქცია და სიცოცხლე დავუბრუნოთ.

თ. ჯავახიშვილი



აგარის ქუჩაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, ხაშურში, აგარის ქუჩაზე მიმდინარეობს წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აგარის ქუჩის მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობებს. სამუშაოები აპრილის ბოლომდე დასრულდება.

ხაშურელი მოსწავლეები ტექნიკურ უნივერსიტეტს სტუმრობდნენ

16 აპრილს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჩატარდა ფესტივალი „მეცნიერულ-ტექნოლოგიური გამოწვევები და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი".

ფესტივალზე მიიწვიეს მომავალი მეცნიერები - მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა სკოლებიდან. მათ შორის, მონაწილეობა მიიღო ხაშურის მუნიციპალიტეტის 20-მა მოსწავლემ. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა წაიკითხეს მოხსენებები. პროექტში მონაწილეობდა სტუ პროფესორი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე. სტუდენტებმა და მოსწავლეებმა დაათვალიერეს ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. მათ გადაეცათ საჩუქრები, მიიწვიეს საზეიმო ვახშამზე. მოსწავლეები შინ კმაყოფილები და ახალი ცოდნით გამდიდრებულები დაბრუნდნენ.

საშემოდგომოდ დაგეგმილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელებისა და პროფესორების საპასუხო ვიზიტი ხაშურში, სადაც ისინი შეხვდებიან სკოლის მოსწავლეებს.

ანონსი

ხვალ, 26 აპრილს, ქვიშხეთში აღინიშნება წმინდა დიმიტრი – სამშობლოსათვის წამებულის (ყიფიანის) ხსენების დღე

პროგრამა:

12სთ. თემატური საღამო - „ყიფიანები – ქვიშხეთში" - ქვიშხეთის კულტურის სახლი;

14სთ. წმინდანის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი – ქვიშხეთის აღდგომის ეკლესია;

14.30 სთ. შეხვედრა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში

15 სთ. გამოფენა სახლ-მუზეუმის ეზოში.

ბიბლიოთეკის კვირეული

ხაშურში მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის კვირეული მიმდინარეობს. საბავშვო ბიბლიოთეკის ინიციატივით, ხაშურელმა პატარებმა ლიტერატორული გმირების როლები მოირგეს და ქალაქის ქუჩები ერთი დღით გაახალისეს. ნორჩი მსახიობები ფეხით მოსიარულეებს და სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლებს ფლაერებს ურიგებდნენ და ბიბლიოთეკის სერვისებს აცნობდნენ. ბავშვები მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპასვილსაც ესტუმრნენ. მათმა ჟრიამულმა ყველგან დაისადგურა.

ნონა ტეფნაძე, კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორი: საბიბლიოთეკო კვირეული, ფარგლებში საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებული დრამატული წრის პატარა მსახიობები ავრცელებენ ფლაერებს, რომლითაც მოსახლეობას აცნობენ ბიბლიოთეკაში დაგეგმილ ღონისძიებებს და მიმდინარე სიახლეებს.

აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ, გიორგი გურასპაშვილს ჩვენი ბიბლიოთეკისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის.

ბავშვები ჩვენი მომავალია. მათ სულიერ და გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა ადრეული ასაკიდანაა საჭირო. საჯარო ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკასთან, ერთად ძალ-ღონეს არ იშურებს ბავშვებს საბაზისო ცოდნა და გამოცდილება შესძინონ. ამის ნათელი დადასტურებაა, გასულ კვირეებში კალიგრაფიისა და მხატვრული კითხვის კონკურსის ჩატარება პატარებისათვის, რომელმაც ერთიორად გაზარდა ბავშვების ცოდნის დონე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბიბლიოთეკის კვირეული 18 აპრილს დაიწყო და ერთი კვირით გაგრძელდება. დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები. კვირეულის გახსნის დღეს ბიბლიოთეკის დირექტორმა მარინე დიდებულიძემ ისაუბრა ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნად ფონდებზე და მათ სტატისტიკაზე, ციფრულ ფოტომატიანეზე, ონლაინ რუბრიკებზე, წლის ინტელექტუალური მოსწავლის გამოსავლენად ჩატარებულ საგნობრივ ტურებზე, ბიბლიოთეკაში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებზე და ა.შ.

კვირეულის გახსნას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლები, რომლებიც გამოეხმაურნენ ბიბლიოთეკის ინიციატივას - ვაჩუქოთ ერთი წიგნი ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა. ხაშურის მინიციპალიტეტის ბიბლიოთეკა მადლობას უხდის მათ გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

კვირეული ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებთან და მოეწყობა ცოცხალი კითხვის დღე.

წარმატება ზუგდიდში

ამ დღეებში ზუგდიდმა ჭაბუკებს შორის ედუარდ კვიციანის ტურნირს უმასპინძლა ჭიდაობა სამბოში. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მასში მონაწილეობას ჩვენი სასპორტო სკოლის წარგზავნილებიც იღებდნენ. მწვრთნელების ბუხუტი ბუხრიკიძისა და მალხაზ ნოზაძის მომზადებულმა გუნდმა დიდებულად იასპარეზა და ამაზე შედეგიც მეტყველებს. ტურნირზე ჩემპიონები სხვადასხვა წონით კატეგორიაში გახდნენ: გიორგი ნოზაძე, ზურა ხაჩიძე და ვასიკო ნოზაძე. ვერცხლის მედლები დავით ხაჩიძემ, გიორგი მეხრიშვილმა და გიორგი ნასყიდაშვილმა მოიპოვეს, მესამეადგილოსნები კი თამაზ კაპანაძე, ალეკო ტუხიაშვილი, გიორგი ბედოშვილი, ზაზა დვალიშვილი და აკო კანთელაშვილი გახდნენ.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის გამგეობა და ხაშურის რკინიგზელთა პროფკავშირული ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს გამგეობის წევრს გიორგი გოგოლაძეს მამის, **შაღვა გოგოლაძის** გარდაცვალების გამო

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

ამ ადგილას!

ამ ადგილას!

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.